ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 9
22/07/2020

9-08-4-202007221539

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27.12.2017 წელი, ს.კ.010260020.35.114.016363) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" დადგენილი წესით შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.".

) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,მ" ქვეპუნქტი:

,,მ) დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის

კოდექსით“ დადგენილი წესით გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.”.

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) გამოიყენოს მუნიციპალიტეტისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის”, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ” საქართველოს კანონის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის” დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები.”.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა